ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4839199

ნომერი: AR1729925

თარიღი : 21.01.2020

გაცემის თარიღი : 29.01.2020

გაცნობის თარიღი : 30.01.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ეგნატე ნინოშვილი , N 64;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რატი ხეცურიანი პ/ნ 49001002583
- თბილისი დიღმის მას. IV კვ. კორ. 9 ბ. 40

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 10 იანვრის №4817007 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 21 იანვარს №AR1729925 განცხადებით მომართა რატი ხეცურიანმა და მოითხოვა სამსახურის 2020 წლის 10

იანვრის №4817007 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2020 წლის 10 იანვრის №4817007 ბრძანებით შეთანხმდა, ქ. თბილისში, სექტორი–ჩუღურეთი, ე. ნინოშვილის ქ. N64-ში, №01.16.01.010.014 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, 2020 წლის 16 იანვრის N4821284 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 15 იანვრიდან 2021 წლის 16 სექტემბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2020 წლის 10 იანვრის №4817007 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებზე არ არის დატანილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების შესაბამისი ცალკეული ფართობები. აქედან გამომდინარე, მოთხოვნილია შეთანხმებული გეგმების ჩანაცვლება.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გეგმა - ნახაზები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ შეთანხმებულ გეგმებზე არ არის დატანილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების შესაბამისი ცალკეული ფართობები, ამასთან წარმოდგენილ გეგმებზე მითითებული ფართობები შესაბამისობაშია ბრძანებაში მითითებულ ფართობებთან.
საჯარო რეესტრი ამონაწერის (რეგისტრაციის ნომერი: N882019257756, მომზადების თარიღი: 05/04/2019) თანახმად, N01.16.01.010.014 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ნიუ ლაიფ“ (N406217829). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B17077078, 25/07/2017) თანახმად შპს „ნიუ ლაიფ“-ის (N406250186) დირექტორს წარმოადგენს ბესიკ პაპისმედოვი (პირადი: N01012000873), ხოლო მის მიერ გაცემული 2019 წლის 1 დეკემბრის 01-12/2019 მინდობილობით დასტურდება განმცხადებლის უფლებამოსილება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 10 იანვრის №4817007 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 10 იანვრის №4817007 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს 2020 წლის 21 იანვრის №AR1729925 განცხადებაზე წარმოდგენილი გეგმებით.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 10 იანვრის №4817007 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 10 იანვრის №4817007 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.